საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1211-03
17/08/2023

„2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N1198-03 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, რექტორის 2023 წლის 10 აგვისტოს N2116-02 ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ნიკოლოზ ყაველაშვილის 2023 წლის 17 აგვისტოს N14274-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N1198-03 ბრძანების მე-8 პუნქტში, კერძოდ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღს დაემატოს 9 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2023 წლის 7, 8, 9 და 11 სექტემბერს;

2. შევიდეს ცვლილება „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N1198-03 ბრძანების მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, კერძოდ, სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმების თარიღად ნაცვლად 25 სექტემბრისა განისაზღვროს 23 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„14. აპლიკანტებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულება გაფორმდება შემდეგი გრაფიკით:

ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან – 2023 წლის - 20-21 სექტემბერი.

ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან – 2023 წლის 23 სექტემბერი“.

3. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს,

ბიბლიოთეკას, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი